ხელშეკრულება № 17

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. მცხეთა 28 იანვარი 2013 წ.

ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები) სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია, წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე გივი ამირხანაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გლობუსი ემ-ბე", მისი დირექტორის მაყვალა ბეშიძის სახით, (შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების დადების საფუძველი.

1.1.სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის \ჩატარების წესი"-ს და „შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №7-ის შესაბამისად

2. ხელშეკრულების ობიექტი.

2.1.ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ, შ.პ.ს. „გლობუსი ემ-ბე"-თან სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის
22813000, 22815000, 30197644, 30192130, 30192700, 04910000, 30234300, 22852100, 31651000, 42991110, 30199720, 22816300, 30197130, 30192100 და 22851000 CPV კოდებით განსაზღვრული საქონლის, კერძოდ საკანცელარიო ნივთები (საერთო ღირებულებით 300.00 ლარი) შესაძენად.
2.2.დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება.

3.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით, შეადგენს 300.00 (სამასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

4.1.ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

5. საქონლის მიწოდების ეტაპობრივი ვადები და ადგილი.

5.1.ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებაში აღნიშნული საქონელი.
5.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი თბილისი.

6. მიღება-ჩაბარების წესი.

6.1.„შემსყიდველმა" უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა მიმართებაში.
6.2.თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, „შემსყიდველი" „მიმწოდებელთან" ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
6.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს".
6.4.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები.

7.1.„შემსყიდველი“ ანაზღაურებას განახორციელებს “მიმწოდებლის” მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7.2.„მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

7.3.ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

8. ხელშეკრულების საგარანტიო ვალდებულებები.

8.1.„შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს “ რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში.

8.2.შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია “შემსყიდველს” წერილობით აცნობოს პასუხის შესახებ 5 დღის განმავლობაში და ქარხნული დეფექტის ან წუნის აღმოჩენის შემთხვევაში ჩაატაროს რემონტი ან შეცვალოს შესყიდვის ობიექტის გაუმართავი კომპონენტები ან მისი ნაწილები საკუთარი ხარჯით.

8.3.თუ „მიმწოდებელი” წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული აუცილებელი სამუშაოები და განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

8.4.„მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას განსაზღვროს მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის პერიოდი (საგარანტიო პერიოდი).

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

9.1.„შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

9.2.„შემსყიდველი“ ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- მიაწოდოს ინფორმაცია „მიმწოდებელს“ ყველა გარემოების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის შესრულებისას.

9.3.„შემსყიდველს“ უფლება აქვს:

-განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

-საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებით.

9.4.„მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.5.„მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდული საქონლის წინასწარი, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება.

10.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

11.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული

11.2.„შემსყიდველი" უფლებამოსილია, მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.
11.3.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

12.1.შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
-თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
-თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
12.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

13.1.ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით.

14. ფორს-მაჟორული სიტუაციები.

14.1.მხარეები არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამოქალაქო მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
14.2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
14.3.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ მოლაპარაკების შემდეგ, შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
14.4.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

15.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
15.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
15.3.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
15.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16. ხელშეკრულების ობიექტის შემოწმების პირობები.

16.1.„მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და შესყიდული საქონლის შემოწმებას, ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის საფინანსო სამეურნეო სამსახური;
16.2.შესყივის ობიექტის ან მისი ნაწილის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
16.3.„შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

17. დავების გადაწყვეტის წესი.

17.1.მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2.თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლო წესით მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

18.1.ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

19. სხვა პირობები.

19.1.ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, როცა იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

19.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა ენიჭება.

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

20. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

„მიმწოდებელი"
შპს „გლობუსი ემ-ბე"
ქ. თბილისი, წერეთლის ქ. №141ა
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბ\კ BAGAGE22, ა\ა GE72BG0000000193217500,
საიდენტ. კოდი 202446969
ტელ. 599 90 54 50

დირექტორი — მაყვალა ბეშიძე

„შემსყიდველი"
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები) სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია
მის. ქ.მცხეთა, აღმაშენებლის 73
საიდენტიფიკაციო კოდი 236032994, სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ანგარიში 200122900

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის
მოადგილე — გიორგი ამირხანაშვილი